# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბუტ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 12 აგვისტო. 2017 წ. №162 (8299), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ქართველი რუსოფილების „გულის გასახარად“!

## როგორ შეიძლება ყირიმში და აფხაზეთში ისე შესვლა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავედ არ შეგრაცხონ

6

## სიფხიზლე – ყველგან და ყოველთვის!

3

ვხედავთ, როგორი სისწრაფით მოცოცავს ყოველგვარი უარყოფითი, „ახალ-თახალი ზნე-ჩვეულებანი“ ჩვენკენ. ეს ყველაფერში იგრძნობა, გარეგნობაში, საუბარში. ჩაცმა-დახურვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. იქაც და აქაც სხეულზე მოსვირინგებული, თმაგაწეწილი ქალები და თავზე ბალჩაამოსული ან თავმოხატული მამაკაცები „ამშვენებენ“ ჩვენი ყოფა-ცხოვრების სურათებს. ეს არაფერი, როგორც უნდა ისე იარონ, ჩაიცვან (გაშიშვლდნენ!), და დაივარცხნონ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გარეგნულ ფორმებში შეხიზნულია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ადამიანური მორალისადმი ზიზღი თუ ცინიზმი. სიტყვა „თავისუფლების“ გაუკუღმართებული ინტერპრეტაცია გაჯდომიათ ძვალსა და რბილში, სისხლსა და ხორცში.

# იქ გმირი იყო ყველა ქართველი...



## დღეს დიდგორობაა, გილოცავთ!

ყველა ომსა და ყველა სისხლისღვრას
აქ ჩამოგითვლით სულ რიგ-რიგობით,
მაგრამ დიდგორზე რა უნდა გითხრათ,
საკვირველია მართლაც დიდგორი!

რა მიგავს თუნდაც თეოდორ მომზენს
(ჰომეროსამდეც მიკლია ბევრი...).
მინდა გიამბოთ დიდგორის ომზე:
თუ როგორ ვძლიეთ ურიცხვი მტერი.

ჩვენკენ დაიძრა მთელი აზია,
ჯარს რომ მოუძღვის, ეს ილღაზია!
და დიდ გულზეა ამირ ილღაზი...
სურს გადაუსვას ჩვენს ჯილაგს ხაზი.

თქვა დავით მეფემ: „მოვჭრათ ხეები
და ხის მორებით ჩავხერგოთ ხევი,
არ დავიტოვოთ გზა დასახევი...
გულანთებულად მომხვდურს შეებით,
მტრების სიმრავლით ნუ შეშინდებით.
მტერს უნდა ვძლიოთ,
არა გვაქვს სხვა გზა,
გწამდეთ: არა თუ ეშმას მიმდევრებს,
ჩვენ დავამარცხებთ თვითონ ეშმაკსაც“.

და სწორედ იმ დროს, მეოხად ჩვენდა,
წმინდა გიორგი გამოჩნდა ცაზე...
და ეს არ გახლავთ მითი, ლეგენდა
ჟამთაღმწერელი აღნიშნავს ასე.

რომ ჩაუნერგონ ქართულ ჯარს შიში,
ხოლო თავიანთ ჯარს კი მხნეობა,
ახმაურდება თურქმანთა ჯიში,
გამოაყრუეს მთელი ხეობა...

„გადმოდგა მტერმა მისკენ ნაბიჯი
და დგას დავითი მშვიდი და დინჯი
და ხმას არ იღებს, მისი ჯარი კი
ნიშანს ელოდა“, — წერს ალ ფარიკი.

სანამ დაჰკრავდა საბრძოლო ჰანგი,
ჯარს გამოეყო „ორასი ფრანგი“,
მიუახლოვდა ილღაზის ბანაკს
თავდაჯერებით, მშვიდად და წყნარად.



ამ საქციელით დაიბნა მტერი,
ვეღარ გაიგეს მათ ვერაფერი,
ვერ მიმხვდარიყვნენ, რა სურდათ
„ფრანგებს“,
ვერ მიხვდა მტერი, ისინი განგებ
რომ თამაშობდნენ ღალატის „სცენას“,
გვიანღა იყო თითებზე კბენა...

ეს იყო ჩვენი ხელმწიფის ხრიკი,
მისი სიბრძნე და მისი ტაქტიკა,
„მოტყუებული დარჩა სასტიკად
ამირ ილღაზი“, — წერს ალ ფარიკი.

როდესაც აფთარს ეკვეთა ლომი
და ჯავარდენმა სისხლი დაღვარა.
როცა ჩაჰბერეს ბუკს და ნაღარას,
დიდგორის ველზე გაჩაღდა ომი...

სისხლმა შეღება დიდგორის ველი,
იქ გმირი იყო ყველა ქართველი.

ყველაფერსა აქვს თავისი ბოლო...
სამი საათი დასჭირდა მხოლოდ
ომის მოგებას... თურქმანთა ტომი
ვერ გაჯეჯილდა ქართულ მიწაზე.
ასე დასრულდა დიდგორის ომი.
ცა იყო დიდი სინათლით სავსე,
ღრუბლის ნასახი ცას არსად ეკრა
და გაისმოდა ზარების რეკვა...

არ გვიცხოვრია არასდროს უქმად
და გახსენება წარსულის გვმართებს.
როგორც იოსებ ნონეშვილს უთქვამს:
„დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“.

მე მიყვარს ჩემი ბანი და ერდო,
არსად მეგულვის შენი ბადალი.
გადაჭიმული ყოფილხარ ერთ დროს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდის...

ო, საქართველოვ, შენი მშვენებით
მოხიბლულია ჩვენი დროება.
სამშობლოვ
დავით აღმაშენებლის,
შენ შვილთა შენთა
ხარ სასოება.



**ბაგრატ ბადიდი,**
გალაკტიონ ტაბიძის
პრემიის ლაურეატი

## ღუღუნით – ლევან ჩიკვაიძეს

საქართველოს ფოსტა

## მტრედების წერილი შპს „საქართველოს ფოსტას“

**როგორც ვატყობთ, დამოუკიდებელ, თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში საჩვენოდ, სამტრედოდ გაგიჩდათ საქმე, რადგან შპს „საქართველოს ფოსტას“ (გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე), აქაოდა ძვირი მიჯდებაო, საერთოდ შეუწყვეტია ბეჭდური სიტყვის ხელმომწერამდე მიტანა.**

ამ ამბავმა, რომელიც 9 აგვისტოს შეატყობინა მკითხველს „საქართველოს რესპუბლიკამ“, მართალი გითხრათ, დიდად დაგვწყვიტა გული ოდითგან საქართველოს მოყვარულ მტრედებს, რომლებსაც საქართველოს მეფეები ყოველთვის გვიყენებდნენ, როგორც ფოსტალიონებს, ანუ „საფოსტო მტრედებს“. ამ საქმეს ვემსახურებოდით ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში და ანტიკურ ხანაში. ასე რომ, თუ მართლა ნამეტანი ძვირი გიჯდებათ ამ ფრიად დიდი საზოგადოებრივი საქმის მოგვარება, გულწრფელად უნდა შემოგთავაზოთ ჩვენი თანადგომა, თანაც უფასოდ!

ოღონდ, საკენკს მაინც ნუ დაინანებთ...

შეგვკრიბეთ, ბატონო, შეგვაბით წითელ ფეხებზე, იმედია, სწორად დაწერილი მისამართები, და დანარჩენი ჩვენზე იყოს. ამასთანავე, არც პასუხს დაგიგვიანებთ.

მერე რა ვუყოთ, რომ 21-ე საუკუნეა, მერე რა ვუყოთ, თუ ბატის ფრთას კომპიუტერი ჩაენაცვლა, როგორც ჩანს, მტრედს როგორც კავშირგაბმულობის საშუალებას, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, თანაც ისეთ კავშირგაუბმელ და პირში ისეთ ათას არაფრისმაქნის პარტიაგამოვლებულ ქვეყანაში, როგორიც დღეს „ოცნების“ სიფრიფანა ფრთებით ნატოსა და რუსეთს შორის მოფარფატე ქართველთა ქვეყანაა.

**დახმარების წყურვილმოუკლავი სურვილით**
**ჯერ კიდევ საფოსტო სამსახურში მყოფი**
**მტრედები**
**(ფერს მნიშვნელობა არა აქვს).**

## ...და იციალებს ფერთა ზეიმი

**ვაგრძელებთ საუბარს ჯოხთაბერიძის გალერეაზე**

4

# გიორგი კვირიკაშვილი: სამშობლოსათვის თავგანწირვის კიდევ ერთი დღე



**„2008 წლის 11 აგვისტო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც გმირობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის კიდევ ერთი დღე. ამ დღეს მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა თავდადების შეუდარებელი მაგალითი აჩვენეს – მეორე ქვეითი ბრიგადის ოცეულმა ერთი ნაბიჯით არ დაიხია უკან და 17 ჯარისკაცი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.**

**მათი სახელებია – ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე. ამ სახელებს დავიწყება არ უწერია.**

**ქედს ვიხრი მათი უკვდავი სულების წინაშე და პატივს მივაგებ მათ ხსოვნას“,** – ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.



# შინდისის გმირების ხსოვნისადმი პატივის მისაგებად 17 ნერგი დაირგო

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ შინდისის გმირების სკვერში 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისთან დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო. სკვერში ასევე შეიკრიბნენ ბათუმის ვიცე-მერი ბაგრატ მანველიძე, რეგიონის მინისტრთა კაბინეტისა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები, შინდისთან დაღუპული მებრძოლების ოჯახის წევრები.**

სკვერში შეკრებილებმა შინდისის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა ყვავილებით შეამკეს. აღევლინა დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი. შინსდისთან დაღუპული 17 გმირის სახელზე პარკში 17 ნერგი დარგეს. თითოეული გმირის სახელზე ნერგების დარგვის ტრადიციას გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ყოველწლიურად 11 აგვისტოს განხორციელდება. 2008 წლის 11 აგვისტოს, სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული რუსულ მოტომსროლელ ასეულთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ქართველი ჯარისკაცების მიმართულებით მტერი თითქმის ყველა სახის იარაღიდან ისროდა, მათ შორის ტანკებიდან და რეაქტიული ცეცხლმტყორცნებიდან და მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ორჯერ გამოიძახა დახმარება, ჩვიდმეტმა ქართველმა მებრძოლმა მტერს მედგარი წინააღმდეგობა ბოლომდე გაუწია და გმირულად დაიღუპა.

# ნინო ბურჯანაძე, არამზადა პეტრე გასიევის აზრით, ოსი ხალხის მტერი ყოფილა!

**ოსი ხალხისთვის ბურჯანაძე საქართველოს ნაციონალიზმისა და ფაშიზმის სიმბოლოა,** – ასე გამოეხმაურა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი პეტრე გასიევი ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნინო ბურჯანაძე ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში ჩასვლას გეგმავს. როგორც გასიევი აღნიშნავს, დღეს ბურჯანაძე აღარ არის საქართველოს პოლიტიკურ ველზე მნიშვნელოვანი ფიგურა და ასეთი იაფფასიანი ხრიკებით, როგორიცაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩასვლა, დივიდენდებს ეძებს. მისივე თქმით, ბურჯანაძე ოსი ხალხის მტერია.

**„მე არ ვფიქრობ, რომ ნინო ბურჯანაძის ვიზიტი სამხრეთ ოსეთში საერთოდ შესაძლებელია. ოსი ხალხისთვის ბურჯანაძე საქართველოს ნაციონალიზმისა და ფაშიზმის სიმბოლოა. უნდა გავიხსენოთ მისი განცხადებები იმის შესახებ, რომ როდესაც ქართველები სამხრეთ ოსეთის ასაღებად წავლენ, მისი შვილები პირველ რიგებში იქნებიან“,** – აღნიშნა მან.

# გაეროში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე იმსჯელეს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში, ნიუ იორკში, გაეროს წევრების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა გაიმართა.**

მრგვალი მაგიდის საუბრის თემა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხები იყო. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორი ვითარებაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული აგრესიიდან ცხრა წლის შემდეგ.

# რუსი ოკუპანტების მიერ გატაცებული თენგიზ მიქავა თავისუფალია

**რუსი სამხედროების მიერ გატაცებული სოფელ ტყაიას მკვიდრი თენგიზ მიქავა თავისუფალია.**

მიქავა მდინარე ენგურზე თევზაობდა, როდესაც ის იარაღის მუქარით რუსმა ჯარისკაცებმა ენგურის მეორე ნაპირზე გადაიყვანეს. კიდევ ერთი გატაცებული, სოფელ პალურის მკვიდრი უტა სამუშია გუშინ გაათავისუფლეს.

# საქართველოს საგარეო უწყება ხურჩისა და შამგონას მიმდებარე ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლებას გმობს

**საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზზე, კერძოდ, ზუგდიდის რაიონის სოფლების – ხურჩისა და შამგონას მიმდებარე ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლების ფაქტს,** – ამის შესახებ უწყების განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაში წერია, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ნაბიჯები, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნაკისრ ვალდებულებს, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და გადადგას ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით.

**„მიმდინარე წლის აპრილში საოკუპაციო ძალებმა აღნიშნულ პერიმეტრზე ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები და დაამონტაჟეს ხის ბოძები, რის შესახებაც საქართველოს პარტნიორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ოპერატიულად იქნენ ინფორმირებული. 9-11 აგვისტოს ზემოხსენებული სეგმენტის 800-900-მეტრიან მონაკვეთზე გავლებულ იქნა მავთულხლართები.**

**აფხაზეთის რეგიონში ოთხი ე.წ. გადასასვლელი პუნქტის დახურვის შემდეგ, საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების გავლების პროცესი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის გამიზნული პოლიტიკის ნაწილს, მეტ იზოლაციაში მოაქციოს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა და ნებისმიერი ხერხით შეუშალოს ხელი სამშვიდობო პროცესებს.**

**რუსეთის საოკუპაციო ძალების ეს ქმედება უხეშად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებს, ზღუდავს მათ თავისუფალ გადაადგილებასა და განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უფლებას, რაც კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის რეგიონში ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ისედაც მძიმე მდგომარეობას.**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ნაბიჯები, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნაკისრ ვალდებულებს, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და გადადგას ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით.**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს და მოახდინოს შესაბამის რეაგირება რუსეთის საოკუპაციო ძალების მორიგ ქმედებებზე, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისკენ და აზიანებს როგორც უსაფრთხოების გარემოს, ასევე, საერთაშორისო წესრიგს“,** – ნათქვამია განცხადებაში.

## განათლების „რეფორმა“



# სწავლისა და ვარჯიშისთვის, ბავშვებო, სწორდით!

**„მიმდინარეობს მუშაობა, რომ მე-7-8-9 კლასებში პროგრამა მნიშვნელოვნად განიტვირთოს და ნაკლები საკითხი იყოს პროგრამაში შესული“, – ამის შესახებ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გუშინ, ახალი პროგრამის – „ჩვენი სკოლა 2020“**-ის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მინისტრის თქმით, ამ კლასებში მოსწავლეები გარდატეხის ასაკში არიან და მთელ მსოფლიოში აქცენტი გადატანილია უნარებზე, ჯანსაღ ცხოვრებასა და სპორტზე.

**„ჩვენთან ამ კლასებში დატვირთულია პროგრამა, მსოფლიოში არსად ასე არ არის. ის საკითხები კი, რომლებიც ამ კლასებში უნდა ისწავლებოდეს, გადავა ზედა კლასებში. მე-10-11-12 არის ის კლასები, რომლებიც მაქსიმალურად სწავლაზე უნდა იყოს ორიენტირებული“,** – განაცხადა ჯეჯელავამ.

# სექტემბრიდან სკოლის ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა აიკრძალება

**სკოლის ბუფეტებში განსაკუთრებით არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა აიკრძალება, ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

როგორც მინისტრმა განმარტა, ძირითადად საუბარია შაქრისა და მარილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებზე. ასევე შაქრიან, გაზიან სასმელებზე. მისივე თქმით, პროცესი მონიტორინგით გაკონტროლდება. წესების დარღვევის შემთხვევაში კი, სანქცია მებუფეტესთან ხელშეკრულების გაწყვეტა იქნება.

# სკოლაში ბავშვებს თითო ვაშლს დაურიგებთ!

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, სექტემბრიდან კვირაში ერთხელ სკოლაში ბავშვებს თითო ვაშლს დაურიგებენ .**

მისივე თქმით, ეს საკმაოდ ძვირიანი პროექტი იქნება და ამ პროცესის ადმინისტრირებაც რთული იქნება.



**„სავარაუდოდ, საუბარია 40 000-დან 60 000-მდე ბავშვზე. ამ პროექტის მიზანია, რომ შესვენებაზე ყველა ბავშვმა შეჭამოს ვაშლი. ასევე გვინდა მშობლებს მოვუწოდოთ, გამოატანონ ბავშვებს ვაშლი. სექტემბრიდან თითო ბავშვს კვირაში თითო ვაშლი შეხვდება, თუმცა დაძალებას არ ვაპირებთ“...**

60 ათას ჯეჯილს „დასაპურებლად“ კვირაში ერთი ვაშლი ეყოფა, ძვირფასო ალექსანდრე?!

# წელს პირველიდან მეექვსე კლასამდე სახელმძღვანელოები არ შეიცვლება

**„მიმდინარე სასწავლო წელს პირველიდან მეექვსე კლასამდე სახელმძღვანელოები არ შეიცვლება“,** – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ სამინისტროს პროექტ „ჩვენი სკოლა 2020“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, სახელმძღვანელოების შეცვლის გეგმამ ერთი წლით გადაიწია, რათა პედაგოგებს ჰქონდეთ უფრო მეტი დრო, გაეცნონ ახალ სახელმძღვანელოებს.



# სიფხიზლე – ყველგან და ყოველთვის!

## შენში ადამიანურობის გაღვივებას შენი მეზობელი, შენი ეზო, შენი ქუჩა უწყობს ხელს!

**არ ვიცი, როდის „განათდება“ ჩემი გონება და „ამაღლდება“ იმ ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებელთა გონებისა და ნიჭის დონემდე, რომელთაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დიდი ზარ-ზეიმით დააკანონეს თავიანთ ქვეყნებში (ამ ბოლო დროს კი გერმანიაშიც!) და გული გაუხარეს ამ მეტად უცნაურ წყვილებს. სიხარული კი არადა, ბევრში ალბათ, იქვე, იმავე სახელმწიფოს საზოგადოების წარმომადგენლებში, საწინააღმდეგო გრძნობა გამოიწვია...**

მე კი ჩემდათავად ვიტყოდი: ამაზრზენია ეს ყოველივე! ნუთუ ასე მალე შეიცვალა აზროვნება, ფსიქოლოგია კლასიკური რომანების ავტორთა, ამაღლებული სიყვარულის მთხრობელთა და მომღერალთა ქვეყნებში იმ ხალხმა, რომელთაც ქალვაჟის ტრფიალი ზეცამდე აჰყავდათ. ანდა, სად არის რელიგია და სარწმუნოება ან სად ჩაიკარგა პლუს-მინუსის მეცნიერება, ნუთუ უარვყოფთ ადამისა და ევას ბიბლიურ თქმულებას ადამიანთა მოდგმის საწყისზე? და თუ უარვყოფთ სად წაუვალთ მამრობითისა და მდედრობითის აუცილებლობას კაცობრიობის გამრავლებასა და ზოგადად, სიცოცხლის არსებობაში? ქალ-ვაჟს შორის სიყვარული და ქორწინება რაღაც ეშმაკისეულ მოვლენას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გაუთანაბრეს? ნეტა რომელ ქვეყანას სჭირდება ასეთი უპერსპექტივო და ამორალური, ამაზრზენი ქორწინებები, ეგრეთ წოდებული „ოჯახები?“. ვაი თუ, ამ მოვლენაში რაღაც მზაკვრული იდეაა ჩადებული – შემცირდეს კაცობრიობის გამრავლება! ამ ბოლო დროს ხშირად გვესმის საუბრები მოსახლეობის კატასტროფულად მზარდ რიცხვზე... პლანეტა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებს, ილევა ადამიანისათვის საჭირო წიაღისეული მარაგი, ყოველგვარ ზღვარს სცდება წყლისა და ჰაერის დაბინძურება, მისი მომწამვლელი ზემოქმედება სიცოცხლისუნარიანობაზე და ნუთუ მიაგნეს კიდეც „გამოსავალს“ – კაცი კაცზე და ქალი ქალზე დაქორწინდეს! – კი ბატონო, გადავდოთ გვერდზე ჩვენი ტრადიციები, მაგრამ რა სარგებლობას ღებულობს საზოგადოება? ჩვენზე, ანუ საქართველოზე არ ვამბობ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ფაქტებს სად წაუვალთ, ხომ ვხედავთ, როგორი სისწრაფით მოცოცავს ყოველგვარი უარყოფითი, „ახალთახალი ზნე-ჩვეულებანი“ ჩვენკენ. ეს ყველაფერში იგრძნობა, გარეგნობაში, საუბარში. ჩაცმა-დახურვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. იქაც და აქაც სხეულზე მოსვირინგებული, თმაგაწეწილი ქალები და თავზე ბალჩაამოსული ან თავმოხატული მამაკაცები „ამშვენებენ“ ჩვენი ყოფა-ცხოვრების სურათებს. ეს არაფერი, როგორც უნდა ისე იარონ, ჩაიცვან (გაშიშვლდნენ!), და დაივარცხნონ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გარეგნულ ფორმებში შეხიზნულია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ადამიანური მორალისადმი ზიზღი თუ ცინიზმი. სიტყვა „თავისუფლების“ გაუკუღმართებული ინტერპრეტაცია გაჯდომიათ ძვალსა და რბილში, სისხლსა და ხორცში. საითკენ მივყავართ ცივილიზაციას, უკან თუ წინ – შემაძრწუნებელია იმის წარმოდგენა, რომ საქორწინო რიტუალში ორი მამაკაცი, ან ორი ქალი ასრულებს მთავარ როლს. ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან და ასე შემდეგ.

რასაც ახლა ვწერ, ერთი სულის მოთქმით ვწერ. არ არის ახალი ჩემთვის ამ საკითხებზე ფიქრი, ვწუხვარ ძალიან „ლგბტთა“ თუ რაღაც ჯანდაბა, ამათი პარადების მოწმე რომ გავხდით, გულშემატკივართა ტრაფარეტებიც ძალიან დამაფიქრებელია, როგორია გოგონები რომ დგანან დემონსტრანტთა რიგებში და უსირცხვილოდ გაიძახიან ან წარწერებით გვამცნობენ : სხეული ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვიხმარო! არა, რაღაც ხდება ამ ბოლო ათეულ წლებში, განა მარტო ჰაერი დაბინძურებულა, ადამიანთა სულიერებაც ზედ მიჰყოლია, დაბინძურებულა და როგორ მერე! საინტერესოა, მაინც, რატომ მომრავლდნენ ასეთი ადამიანები. რა ვქნათ, როგორ შევაჩეროთ ეს გამრავლება, უამრავი რთული და საშიში პრობლემის წინაშე დგას კაცობრიობა და მეჩვენება რომ მათ შორის ერთ-ერთი, ომზე და ატომზე არანაკლები, ეს საკითხიც არის. გადავხედე ლიტერატურას და საინფორმაციო წყაროებს, მაგრამ ვერსად ვერ მივაგენი ამაზე რომ ვინმე ფიქრობდეს და დარდობდეს. მიზეზი ვერც მათი წარმოშობისა და ვერც მათი გამრავლებისა ვერ ამოვიკითხე ვერსად. გვეუბნებიან, მიქელანჯელო და სხვა უნიჭიერესი ადამიანებიც იყვნენ ასეთებიო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არატრადიციული ორიენტაცია ნიჭიერების ხვედრია, არა, რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფაროს!. კი ბატონო, ვინ თქვა, რომ გენიოსები დაზღვეულნი არიან რაიმე უკურნებელი სენისაგან, ან თუნდაც სიმახინჯისაგან, მაგრამ განა ეს მისაბაძია? რამდენი რამ შეიცვალა სამყაროში მიქელანჯელოსა და თუნდაც ჩაიკოვსკის შემდეგ. ნუთუ არ უნდა დასხდნენ მეცნიერები და არ უნდა დაფიქრდნენ ამ პრობლემაზე, რომელიც, ვფიქრობ, ყველას განურჩევლად სქესისა, რასისა და რელიგიისა, აწუხებს? – ნუთუ გამოსავალი მათი ლეგალიზაციასა და ქორწინების უფლების დაკანონებაშია? აი ასე ვფიქრობ ერთი მხრივ, მაგრამ არ მასვენებს სხვა ფიქრიც. ისინი (ეს არატრადიციულები!) გარეგნობით, ანატომიით ხომ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან არაფრით არ განსხვავდებიან. მათაც ჰყავთ მშობლები, დები, ძმები, მეგობრები, იციან სიძულვილიც და სიყვარულიც, სიხარულიც და გაბრაზებაც, ერთგულებაც და მზაკვრობაც (ასე ვფიქრობ, თუმცა ვერსად ვერ მივაგენი მათი ფსიქოლოგიისა და ხასიათობრივი მონაცემების შესახებ მასალებს!) და, თუ ადამიანი არავითარ დანაშაულს არ ჩაიდენს, ხომ სარგებლობს იმ ქვეყნის ადამიანური უფლებებით, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს, რომელი ქვეყნის მოქალაქეც არის, სარგებლობს იმ ქვეყნის კანონებით, იმ ქვეყნის კონსტიტუციით? დიახ, სარგებლობს, მაგრამ ამავე დროს იგი, ვალდებულია, დაიცვას იმ ქვეყნისა და საზოგადოების ის ზნე-ჩვეულებანი, ის დაუწერელი ადათ-წესები, რომელიც მის წინაპრებს საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებიათ, შეუქმნიათ და რაც ადამიანს ამა თუ იმ ეროვნულობას ანიჭებს... სწორედ, რომ ამ ადათ-წესებს ვერ იცავენ არატრადიციული ორიენტაციის მატარებლები (არა ტრადიციულიც იმიტომ ჰქვიათ!) ვერ იცავენ,

**ვხედავთ, როგორი სისწრაფით მოცოცავს ყოველგვარი უარყოფითი, „ახალთახალი ზნე-ჩვეულებანი“ ჩვენკენ. ეს ყველაფერში იგრძნობა, გარეგნობაში, საუბარში. ჩაცმა-დახურვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. იქაც და აქაც სხეულზე მოსვირინგებული, თმაგაწეწილი ქალები და თავზე ბალჩაამოსული ან თავმოხატული მამაკაცები „ამშვენებენ“ ჩვენი ყოფა-ცხოვრების სურათებს. ეს არაფერი, როგორც უნდა ისე იარონ, ჩაიცვან (გაშიშვლდნენ!), და დაივარცხნონ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გარეგნულ ფორმებში შეხიზნულია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ადამიანური მორალისადმი ზიზღი თუ ცინიზმი. სიტყვა „თავისუფლების“ გაუკუღმართებული ინტერპრეტაცია გაჯდომიათ ძვალსა და რბილში, სისხლსა და ხორცში.**

მაგრამ მათზე რომ არ არის დამოკიდებული, რა ქნან! ასეთი ბუნებისანი გაჩნდნენ და... ამ შემთხვევაში საზოგადოებამ უნდა გამონახოს კანონით გამყარებული ის ოქროს შუალედი, რომელიც ამ ადამიანებს (ლგბტ-ს) არ გამოყოფს და შეურაცხოფილ და დამცირებულ (დისკრიმინირებულ) ფენად არ აქცევს მათ. ასეთი კანონების შექმნასა და საზოგადოებასთან სოლიდარობაში თავად ეს „არატრადიციულებიც“ უნდა იყვნენ მონდომებულნი და ჩართულნი. დღევანდელი კანონი,რამდენადაც ვიცი, ასეთ ურთიერთობაზე არ არის ორიენტირებული – იცავს ლგბტს წევრებს, მაგრამ არ ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს, ჩვევებსა და ადათებს, ყოველივე ეს ხელს უშლის საზოგადოებაში მათ ჩართულობას. პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ საზოგადოება და ლგბტ – აი ასე არიან დღეს ადამიანები დაყოფილნი. გაუგებრობა ამ ორ ფენას შორის მკვეთრად არის გამოკვეთილი.

**„კაცობრიობის მომავალი ბუნების მოვლენასავით თავისთავად არ მოვა. რასაც დღეს ყოველ წუთს სჩადიან ადამიანები, რასაც ელოდებიან, ან როგორც ფიქრობენ, ყველაფერი ეს მომავალს უყრის საძირკველს და მის წინასწარდასახულებას წარმოადგენს. ადამიანებზეა დამოკიდებული თუ როგორი იქნება მომავალი“**, – გერმანელი ფილოსოფოსის და ფსიქოლოგის კარლ ასპერსის ამ სიტყვებმა ჩემს აზრებში რწმენა განმიმტკიცა, დიახ, ჩვენს ქმედებებზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი!

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოში, კერძოდ, ჩვენს დედაქალაქში (ბათუმში უფრო მოველოდი) დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, გარკვეული ჯგუფის მეცადინეობით გაიმართა დემონსტრაცია სახელწოდებით „ქართული მარში.“ დემოკრატიული და კულტურული ფორმებით მსვლელობას და საზოგადოების აზრის გამოხატვას იმის შესახებ, რაც ხდება თბილისის ცენტრალურ მოედნებსა, პროსპექტებზე და გადასასვლელების ქვეშ განლაგებულ, ეგრეთ წოდებულ, ბარებში, დიდი ხანია, ველოდი, მნიშვნელობა არა აქვს, რა ერქმეოდა ამ დემონსტრაციას. სწორედ რომ საჭიროა, დამნახველმა დაინახოს, რომ ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელსაც უნდა და სიამოვნებით შეუძლია საქმიანი, კულტურული და სიკეთის მომტანი ურთიერთობა ევროპელებთან, ამერიკელებთან, არაბებთან, და ნებისმიერი ერის წარმომადგენლებთან და არა უზნეობასთან, არა გადაგვარებასთან! თბილისის ნებისმიერი ქუჩა , სკვერი თუ სახლი, არ არის ის ადგილი, სადაც რაღაც საეჭვო პუნქტები გაიხსნას, სულ ერთია, ვის მიერ იქნება იგი ორგანიზებული – ქართველის თუ უცხოელის მიერ. განსაკუთრებით სავალალოა აღმაშენებლის პროსპექტი, იგივე ძველი პლეხანოვი, სადაც ჩვენი დროის ახალგაზრდების შეხვედრების, სეირნობის, გართობისა და კულტურული ღონისძიებების ადგილი იყო. ახლა კი იქ სულ სხვა შინაარსის მომცველი „ღონისძიებები“ტარდება თურმე. მართალია ეს რაღაც ვაჭრულ (ახლა ბიზნესს რომ ეძახიან) ურთიერთობებთან არის დაკავშირებული, რომლითაც სახელმწიფო სარგებლობს გადასახადების აკრეფით, და არა მარტო სახელმწიფო, როგორც ჩანს, ვილაცებიც სარგებლობენ! მაგრამ იმ ძვირფასის და სანუკვარის დაკარგვა, რაც ჩვენს ერს საუკუნეების მანძილზე, ძნელბედობაში, ჭირსა და ლხინში გამოუტარებია და გამოუბრძმედია და, რასაც შენი ხალხის ცხოვრების წესი ჰქვია, აუნაზღაურებელ ზარალს მოუტანს ქვეყანასაც და ხალხსაც.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დავით აღმაშენებლის პროსპექტი (და არა მარტო ის!) უკვე აღარ არის ქართული ქუჩა თავისი წარწერებით, შინაარსით... ადამიანში ადამიანურობისა და ზნეკეთილობის გაღვივებას გარე სამყარო, შენი მეზობელი, შენი ეზო, შენი ქუჩა – და ყველაფერი ის უწყობს ხელს, რასაც ადამიანი ბავშვობიდან ხედავს, მოკლედ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, სად ცხოვრობ! და განა სასიამოვნოა, როდესაც შენს მშობლიურ ქალაქში, შენი ბავშვობის დროინდელ ადგილებში ახლა ლეგალურად თუ არალეგალურად მცხოვრებთ (რა მნიშვნელობა აქვს ვის!) საეჭვო მომსახურების პუნქტები გაუხსნიათ.

ამ თემაზე ყველა საუბრობს, უკმაყოფილებას გამოთქვამს, მაგრამ ასეთი დემონსტრაციული ნაბიჯი, როგორიც 12 ივლისს „ქართული მარშით“ გამოითქვა, პირველია! თითქოს აკლდა ჩვენს საზოგადოებას დაპირისპირებები და ამ მოვლენამაც ხალხის აზრი ორად გაყო: არიან დემონსტრაციით უკმაყოფილონი და მომხრეები. „რუსული პროექტიაო“, ამბობენ პირველნი. ახლა თურქეთის და სპარსეთის გადამტერება გვინდა? – ვიშვიშებენ კუთხე-კუთხე, გამოდიან რადიოში, ტელევიზიაში. ამბობენ, რომ უგუნურები, გაუნათლებლები არიან, ვინც ამ იდეას მიემხრო და დემონსტრანტებს შეუერთდაო. სასწაული! ქართველი კაცი თავის ღირსებას იცავდა, იცავს და ყოველთვის დაიცავს!, რა შუაშია რუსულიო, – ამბობენ მეორენი. ერთი სიტყვით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა თავდაპირველად დემონსტრაციის იდეას და შემდეგ მშვიდობიანად ჩატარებულ, ეგრეთ წოდებულ, „ქართულ მარშსაც.“ ამ ფაქტით უკმაყოფილოებს რომ ჰკითხო, დემოკრატიას ვაშენებთო. არადა, მათ მიერ საქართველოს მომავლის მტრად მოხსენიებულ მშვიდობიან „ქართულ მარშს“ ათასობით მოქალაქე შეუერთდა. სხვათა შორის, იგივე ეს მოქალაქენი მზად იყვნენ (ასე განაცხადეს ტელეარხებში მოწვეულმა ორგანიზატორებმა), შეერთებოდნენ იმ დემონსტრაციას, რომელიც რუსი ოკუპანტების მიერ ყოველდღიურად განხორციელებულ მცოცავ ანექსიას გმობდა და, რომელიც მაინცდამაინც „ქართული მარშის“ ჩატარების დღეს გაიმართა.

 აი, ეს დაპირისპირებები და წინააღმდეგობრივი მოქმედებები, რაც არა მგონია, რომ ზნეობრიობას ექვემდებარებოდეს, არც მშვიდობას და არც არანაირ სიკეთეს არ მოუტანს საქართველოს მომავალს. სიფხიზლე, ყველგან და ყოველთვის ზნეობრიობის დაცვა, სიყვარული, მშვიდობა და მეზობლებთან კეთილი ურთიერთობა არის საქართველოს ბედნიერი მომავლის საძირკველი!



**გულნარა სტურუა**

## საქართველო-რუსეთის საზღვარზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი კვლავ 24-საათიან რეჟიმში მორიგეობს

**ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეფერხებების გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი კვლავ 24-საათიან რეჟიმში მორიგეობს. საჭიროების შემთხვევაში, ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორებს, სამედიცინო დახმარებას ადგილზე გაუწევენ.**

**შეგახსენებთ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქალბატონი გარდაიცვალა. მოქალაქე, რომელიც რუსეთიდან საქართველოში გადმოდიოდა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე გრძელ რიგში შეუძლოდ გახდა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს მიმართა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ადამიანების მდგომარეობას, რომელსაც ლარსის გამშვებ პუნქტზე რიგში ლოდინი უწევთ.**

# ...და იციალებს ფერთა ზეიმი

## ვაგრძელებთ საუბარს ჯოხთაბერიძის გალერეაზე



**ყველა ერის კულტურის რომელ სფეროშიც გნებავთ არის გარკვეული პერიოდები, რომლებიც წინამორბედებისგანაც და მომდევნოებისგანაც ისეთი თვითმყოფადობით გამოირჩევიან, რომ ისტორიულ ჭრილში სრულიად განცალკევებულ ეპოქებს ქმნიან. ამდენად, ყველა ასეთი გამორჩეული ხანის საუკეთესო ნიმუშების სათანადოდ შენახვა-პატრონობა უდიდესი მნიშვნელობის ეროვნული საქმეა, რომლისთვის თავის მოზმა გამორჩეულ ერისშვილთა ხვედრია.**

**ყველაფერ ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, პატივცემულო მკითხველო, რომ ერთიანად ქართველი საზოგადოება მოახლოებული შემოდგომის დადგომას სიხარულიანი იმედით მოელის, როცა დედაქალაქის შუაგულში, რუსთაველის პროსპექტზე, ხალხში უკვე „ჯოხთაბერიძის გალერეად“ მონათლული ხელოვნების მრავალფუნქციური შენობა-გალერეა გაიხსნება.**

**საქართველოს კულტურის თანამედროვე ისტორიაში ამ უაღრესად საგულისხმო მოვლენას ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველებიც სულმოუთქმელად ელიან, ამიტომაც მას დიდი ხალისით ვეხმაურებით. ბოლო დროს უკვე გამოვაქვეყნეთ გურამ გოგიაშვილის წერილი „ჯოხთაბერიძის გალერეა“, რამდენიმე დღის წინათ დაისტამბა ცნობილი არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას გამოხმაურება „უდიდესი კულტუროლოგიური მოვლენის მოლოდინში“.**

**დღევანდელი ნომრის სტუმარი კი ჩვენი სასიქადულო პიროვნება, სახელოვანი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი გახლავთ.**

— ისევე, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოება, მეც დიდი სიხარულით მოველი და გულწრფელად მივესალმები შემოდგომაზე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ახალი საგამოფენო სივრცის გახსნას, რომლის შენობა საქართველოში ცნობილი ბიზნესმენის, მაგთიკომის თავკაცის, ბატონი **გია ჯოხთაბერიძის** ძალისხმევით აიგო, — თქვა ბატონმა გიგამ. — საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის თუ გალერეის შექმნის საკითხი დღის წესრიგში წლების მანძილზე იდგა, თუმცა საქმეს საშველი არა და არ დაადგა. იყო რაღაც პერიოდი, როცა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში ყოფილი უნივერმაღის „თბილისის“ შენობის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი განიხილებოდა სახვითი ხელოვნების ახალი ცენტრის განსათავსებლად, თუმცა ეს გეგმა არ განხორციელდა. მერე კი ყველასთვის კარგად ცნობილი ეპოქალური ცვლილების დრო დადგა, როცა იმის საშიშროებაც გაჩნდა, რომ ქართველ ფერმწერთა მიერ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, სამამულო სახვითი ხელოვნების არაჩვეულებრივი აღმავლობის წლებში შექმნილი შესანიშნავი ნამუშევრები სამუდამოდ დაგვეკარგებოდა. საგანგებოდ მინდა, შევახსენოთ, რომ გასული საუკუნის დამდეგიდანვე საქართველოში სამხატვრო ასპარეზზე არაერთი გამორჩეული შემოქმედი გამოვიდა — მაგალითისთვის ფიროსმანის, გველესიანის, შევარდნაძის, გუდიაშვილის, ქობულაძის, ახვლედიანის სახელებიც კმარა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მხატვრული ტალანტებით „დახუნძლული“ საუკუნის მეორე ნახევარიც იყო და სწორედ ამ შემოქმედთა ნამუშევრების გაფანტვის, ანდა სულაც დაკარგვის საფრთხე წარმოიშვა.

**ჩემი ღრმა რწმენით, ბატონ გია ჯოხთაბერიძეს ქართული საზოგადოებისგან მადლობა თუნდაც მხოლოდ იმის გამო ეთქმის, რომ უამრავ მხატვრულ ქმნილებას თავი მოუყარა და მთელი თავისი მატერიალური რესურსი თუ პიროვნული ავტორიტეტი ამ მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეს მოახმარა.**

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურის კერის ახლო მომავალში გახსნას მოუთმენლად კიდევ იმ მიზეზით მოველი, რომ სამამულო ხელოვნებას, ისევე როგორც ეროვნულ მეცნიერებას, გამაგრება სჭირდება, რათა ერს მომდევნო საფეხურზე ასვლის საშუალება ჰქონდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიკავებს საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის რიგებში ღირსეულ ადგილს.

საკითხს მეტად თუ ჩავუღრმავდებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ორი გარემოება: პირველი გახლავთ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში ქანდაკების ხელოვნების არნახული აღზევება, მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია კედლის, ანუ ფრესკული მხატვრობიდან, რომლის მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ნიმუშიც გვაქვს, დაზგურ ფერწერაზე გადასვლა. და სწორედ ამ ეროვნული განძეულის შეუფასებელ მარგალიტებს ერთად უყრის თავს ბატონი გია ჯოხთაბერიძე, რომელთა განსათავსებლად უზარმაზარი საგამოფენო სივრცე შექმნა. ვფიქრობ, რომ ახალ კულტურულ კერას არა მხოლოდ ტრადიციული სახელოვნებო გალერეის დატვირთვა, არამედ სამუზეუმო ფუნქციაც ექნება, რასაც, ცხადია, კიდევ სარესტავრაციო და სხვა მიმართულებები დაემატება.



**სიმართლე გითხრათ, ახალი კულტურული კერის, ასე ვთქვათ, „ორგანიზმის“ სტრუქტურას არ ვიცნობ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ის შესაძლოა, ისეთ დაწესებულებად გადაიქცეს, სადაც ხელოვნების ტრფიალთ მართლაც „ერთ დიდ სამოვართან“ დასხდომისა და ხელოვნებასა და შემოქმედებაზე საუბრის შესაძლებლობა ექნებათ.**

ყველაფერ ზემოთქმულს მინდა, დავამატო: როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში ახალმა შემოქმედებითმა იმპულსებმა უდიდესი ძალით იფეთქა, რის შედეგად იმპრესიონიზმი და სახვითი ხელოვნების მრავალი სხვა მიმდინარეობა წარმოიშვა, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების ადგილები პარიზული კაფეები და კაბარეები იყო. თანამედროვე თბილისში კი ასეთი ვითარება არ არის. დიდ ბოდიშს ვუხდი ჩემს თანამოძმეებს, მაგრამ რუსთაველის პროსპექტზე მეცნიერებათა აკადემიის შენობის კიბეებსა თუ მშრალ ხიდთან სამხატვრო გამოფენები იმ დონისანი არ არიან, რომ კაცი — შემოქმედი იქნება იგი თუ რიგითი მნახველი — მსოფლმხედველურად გაიზარდოს, შემეცნებითი თვალსაწიერი გაუფართოვდეს. ამიტომ, ხელოვნების ახალი კეთილმოწყობილი სახლი, შემოქმედებითი კომპლექსი შესაძლოა, საქართველოში მხატვრობის განვითარების, შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და სრულყოფის ცენტრად იქცეს.

**ესაუბრა**
**ოთარ ტურაბელიძე**

# ახალი საბავშვო ბაღი ნაძალადევში

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კიდევ ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. 8-ჯგუფიანი საბავშვო ბაღი ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის 4 ნომერში შენდება.**

ახალი შენობა მოქმედი 56-ე ბაღის ეზოში განთავსდება. ეზოს ტერიტორიული ფართობიდან გამომდინარე, რომელიც 7000 კვადრატული მეტრია, ბაღების მართვის სააგენტომ იქ ახალი ბაღის მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

სიმბოლური კაფსულა შენობის საძირკველში დავით ნარმანიამ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასთან ერთად ჩადო.

ახალი საბავშვო ბაღი 2018 წელს გაიხსნება და ის იქნება მესამე ახალი ბაღი ნაძალადევის რაიონისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში.

ბაღში ბაგის 2 და სამიდან ექვს წლამდე 6 ასაკობრივი ჯგუფი იქნება. დასაქმდება 60-მდე ადამიანი.

საბავშვო ბაღი 2018 წლის პირველ ნახევარში 300-მდე ბავშვს მიიღებს.

ღონისძიებაზე მერთან ერთად იმყოფებოდნენ ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე, პარლამენტის და საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები.



## უნებართვოდ გახსნილი ღია კაფეები

**ახალ აღმაშენებელზე ღია კაფეების უნებართვოდ მოწყობის გამო, 16 სუბიექტის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევაზე საქმის წარმოება დაიწყო.**

სუბიექტებს კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ან მათი დემონტაჟი დაევალათ, გარდა ამისა, კაფეების მეპატრონეებმა ბანერებზე ქართული წარწერებიც უნდა განათავსონ.

აღმაშენებლის გამზირზე თბილისის მერი დავით ნარმანია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროს გიორგი უკლებასთან და ჩუღურეთის რაიონის



გამგებელ ზურაბ ჩიკვილაძესთან ერთად იმყოფებოდა. დედაქალაქის მერმა 16-ვე სუბიექტის მეპატრონეს გაფრთხილება პირადად მისცა.

## ამბროლაურის მიმართულებით ფრენების სიხშირე კვირაში 4-მდე გაიზარდა

**ამბროლაურის მიმართულებით ფრენების სიხშირე გაიზარდა. აბროლაურის აეროპორტის ინფორმაციით, მზარდი მოთხოვნის გამო რეისები კვირაში 3 სიხშირის ნაცვლად, ამიერიდან 4 სიხშირით ხორციელდება. ახალი განრიგის მიმართულებით ფრენები ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას შესრულდება.**

**ბილეთის ფასი ერთი მიმართულებით ზრდასრულთათვის არის 50 ლარი, 12 წლამდე ბავშვებისთვის 35 ლარი, ხოლო ჩვილებისთვის — უფასო.**

ამბროლაურის მიმართულებით ავიარეისები ნატახტარის აეროდრომიდან ხორციელდება.

ნატახტარი-ამბროლაურის და ამბროლაური-ნატახტარის მიმართულებით ავიაბილეთების წინასწარ დაჯავშნა და შეძენა შესაძლებელია ტურისტულ კომპანია Vanilla Sky-ს ვებგვერდზე:http:http://www.vanillasky.ge/

## თბილისში, საბავშვო ევროვიზიაში, 16 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას

**2017 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, თბილისს ევროპის 16 ქვეყნის წარმომადგენელი ახალგაზრდა ვარსკვლავი ეწვევა. ღონისძიება 26 ნოემბერს ჩატარდება.**

პირველად ევროვიზიის ისტორიაში, ამოქმედდება ხმის მიცემის განახლებული სისტემა, რაც გულშემატკივარს მისცემს შესაძლებლობას, რჩეულ შემსრულებელს მისცეს ხმა ონლიან რეჟიმში.

საბავშვო ევროვიზიის სიმღერის რიგით მე-15 კონკურსს 26 ნოემბერს, თბილისის ოლიმპიური სასახლე უმასპინძლებს. კონკურსის ჩატარება თბილისის სპორტის სასახლეში იგეგმებოდა, თუმცა მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. ონლაინ ხმის მიცემის პროცედურა დაიწყება 24 ნოემბერს და 26 ნოემბერს შეწყდება.

გულშემატკივარს შესაძლებლობა ექნება ევროვიზიის ოფიციალურ ვებგვერდზე მოისმინოს ყველა საკონკურსო სიმღერა, ნახოს საკონკურსო მუსიკალური ნომრების ფრაგმენტები, მონაწილეთა რეპეტიციების ერთწუთიანი ვიდეორგოლები და გააკეთოს არჩევანი. 26 ნოემბერს, ლაივ-შოუ საკონკურსო ნაწილის დასრულებისას ხმის მიცემის პროცედურა 15 წუთით განახლდება.



## ნადირობა 21 სახეობის გადამფრენ ფრინველზეა ნებადართული

**2017-2018 წლების ნადირობის სეზონზე ნადირობისთვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობები ცნობილია.**

საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა, **2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის მარტამდე, ნადირობა ნებადართულია შემდეგ წყალმცურავ ფრინველებზე: რუხი ბატი — დღიური ლიმიტი 5 ცალი; რუხი იხვი — დღიური ლიმიტი 3 ცალი; ჭიკვარა — დღიური ლიმიტი 5 ცალი; გარეული იხვი — დღიური ლიმიტი 6 ცალი; იხვინჯა — დღიური ლიმიტი 3 ცალი; ფართოცხვირა — დღიური ლიმიტი 3 ცალი; მელოტა — დღიური ლიმიტი 6 ცალი; კუდსადგისა იხვი — დღიური ლიმიტი 3 ცალი; თეთრშუბლა იხვი — დღიური ლიმიტი 6 ცალი; დიდი თეთრშუბლა ბატი — დღიური ლიმიტი 5 ცალი; წითელთავა ყვინთია — დღიური ლიმიტი 3 ცალი; ქოჩორა ყვინთია — დღიური ლიმიტი 5 ცალი.**



მხოლოდ ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მიმდინარე წლის **10 სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ნადირობა ნებადართულია შემდეგ წყალმცურავ ფრინველებზე: რუხი ბატი — დღიური ლიმიტი 3 ცალი; რუხი იხვი — დღიური ლიმიტი 2 ცალი; ჭიკვარა — დღიური ლიმიტი 3 ცალი; გარეული იხვი — დღიური ლიმიტი 5 ცალი; იხვინჯა — დღიური ლიმიტი 2 ცალი; ფართოცხვირა — დღიური ლიმიტი 2 ცალი; მელოტა — დღიური ლიმიტი 5 ცალი; კუდსადგისა იხვი — დღიური ლიმიტი 2 ცალი; თეთრშუბლა იხვი — დღიური ლიმიტი 3 ცალი; დიდი თეთრშუბლა ბატი — დღიური ლიმიტი 3 ცალი; წითელთავა ყვინთია — დღიური ლიმიტი 2 ცალი; ქოჩორა ყვინთია — დღიური ლიმიტი 3 ცალი.**

**2017 წლის აგვისტოს მესამე შაბათიდან 2018 წლის 15 თებერვლამდე კი ნებადართულია ნადირობა შემდეგ გადამფრენ ფრინველებზე: ტყის ქათამი — დღიური ლიმიტი 5 ცალი; ჩიბუხა — დღიური ლიმიტი 5 ცალი; მწყერი — დღიური ლიმიტი 20 ცალი; ქედანი — დღიური ლიმიტი 10 ცალი; გარეული მტრედი — დღიური ლიმიტი 10 ცალი; გულიო — დღიური ლიმიტი 10 ცალი; ჩვეულებრივი გვრიტი — დღიური ლიმიტი 10 ცალი; ღალღა — დღიური ლიმიტი 5 ცალი; ჩიბუხელა — დღიური ლიმიტი 5 ცალი.**

ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალებში და ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში, ასევე საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

# მიხედეთ გრიგოლეთს!

## საქართველოს მთავრობასა და გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციას

როგორც ყოველთვის, გურიაში საკურორტო ზონაში (ზღვისპირა რაიონებში) გრიგოლეთი არაპრიორიტეტულად მიაჩნიათ, თუმცა წლიდან წლამდე სასტუმროები და სახლები სოკოებივით იზრდება, ხალხი ჩამოდის დასასვენებლად (უცხოეთიდან), თუმცა ელექტროენერგიის მოწოდებაში შეფერხებებია, ნაგვის გატანა მოუწესრიგებელია, მხოლოდ ახლახან დადგეს ბუნკერები, როგორც შევიტყვეთ ურეკში და შეკვეთილში კანალიზაციის სისტემები მოეწყო, გრიგოლეთი კი კვლავ გამოტოვეს, არა და გამწმენდი ნაგებობის არსებობა აუცილებელია. ამის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2017 წ. 7 ივლისს დაიწერა კიდეც წერილი — „გამწმენდი ნაგებობები აუცილებელია“.

გთხოვთ, ყურად იღოთ ეს საჭირბოროტო საკითხი, რათა ეს შესანიშნავი დასასვენებელი ზღვისპირა კერა არ იქცეს ინფექციისა და ანტისანიტარიის ზონად!

**გრიგოლეთის მცხოვრებთა და დამსვენებელთა სახელით**
**ა. ბარამიძე, ი. ურუშაძე, ი. ქილიფთარი, ზ. შერვაშიძე, ს. ბიტსარქისი, ა. პოპოვი, მ. დოლიძე, თ. ნავროზაშვილი, ი. გიგიბერია**

კვალი დროში



## ...ხსოვნა უნარჩუნებს სიცოცხლის სიყვარულს!

**70 წელი** შეუსრულდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრს, შონიების საგვარეულოს სახელოვან წარმომადგენელს, პოეტ **ჯემალ შონიას,** რომელმაც მკითხველს უკვე კარგად დაამახსოვრა თავი გულწრფელი და ნიჭიერი ლექსებით. კარგად არის ცნობილი მისი პოეტური კრებულები, განსაკუთრებით მიმდინარე წელს გამოცემული ლირიკის რჩეული — „წაუკითხავი“, რომელიც ტიტე მოსიასა და გივი ჩილვინაძის რედაქტორობით გამომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა, ვაჟა წოწკოლაურის თაოსნობით და სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის“ გენერალური დირექტორის ბატონ ედიშერ ჯანჯულიას ფინანსური უზრუნველყოფით. ამ წიგნში გულწრფელი ლექსებია, ჩვენი თანამედროვის ფიქრები და განცდები გვეხმაურება ჩვენი სამყაროს ავ-კარგზე და, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, ესაა მოუშუშებელი ტკივილი მგრძნობიარე სულისა, პოეტისა, მოქალაქისა და მამისა... ეს ტკივილი სამყაროულიცაა და პიროვნულიც, ეს ტკივილი წუხილიცაა უთავბოლო თანამედროვეობისა და გულის შუაზე გამპობი ოხვრაცა და ვაებაც პირმშოს დაღუპვის გამო. ლირიკას საზოგადოებრივი, პოეტის პირადულისა და მოქალაქეობრივის თანახმიანობა გამოარჩევს, მაგრამ არის ტკივილი, რომლის სიღრმე ამგვარ თანახმიანობას განსაკუთრებულ „ხმოვანებას“ სძენს და კონკრეტულ ლირიკულ ქმნილებაში ვლინდება. ჯემალ შონიას პოეზიაში ასეთი ლექსია „მას შემდეგ“, რომელსაც ახლავს ეპიგრაფი „ხსოვნა“. ხსოვნა გაწოლილია ზღვარგამყოფად პოეტის უვაჟიშვილოდ ცხოვრების გზაზე და ხსოვნა იცავს უმისობის სიმწარის ყოვლისწამლეკობისაგან, ხსოვნა უნარჩუნებს სიცოცხლის სიყვარულს ბუნებით გასაოცრად მშვიდ და რიდიან-კრძალვიან პიროვნებას.

ჯემალ შონია არა მარტო კარგი პოეტია, არამედ შესანიშნავი მოქალაქე და მოღვაწე. კარგად არის ცნობილი მისი ჟურნალისტური საქმიანობა გალის რაიონულ გაზეთში. მას ყოველთვის გამოარჩევდა ინიციატივიანობა, ენერგიულობა და მიზანსწრაფულობა. ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო მისი არჩევა საქართველოს რესპუბლიკის უზანესი საბჭოს დეპუტატად გალის რაიონიდან და მისი ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. მისი ინიციატივა გახლდათ შონიების საგვარეულოს შეკრების ორგანიზება. განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ჯემალ შონიას ენერგიული საქმიანობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად.

70 წელი ადამიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით თანამედროვე დროითი განზომილებით, სიმწიფის ხანის დასაწყისია, ცხოვრების გზაზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების რეალიზებისა, მით უფრო ისეთ ადამიანთან მიმართებაში, რომლის ცხოვრების გზაც სულიერებისა და ინტელექტუალურობის ნიშნით იყო აღბეჭდილი. სწორედ ასეთი ცხოვრებით მიუახლოვდა ჯემალ შონია თავის 70 წლისთავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას წინ კიდევ ბევრი საქმე ელის როგორც პოეზიის ასპარეზზე, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

სულითა და გულით ვულოცავთ ჯემალ შონიას სახელოვან იუბილეს — დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

**შონიების საგვარეულოს წინამძღოლი**
**ოთარ შონია**

# ქართველი რუსოფილების „გულის გასახარად“!

## ანდრეი პიონტკოვსკი: გაჭიანურებული ქართული გაკვეთილი



**საქართველოსთან ომი იქცა იმადვე, რადაც მიუნჰენი — მეორე მსოფლიოსთვის, როდესაც დასავლურმა დერჟავებმა ჰიტლერის აგრესიაზე თვალი დახუჭეს. 9 წლის წინ დაიწყო ქართული შეიარაღებული ძალების დაპირისპირება სამხრეთ ოსეთში მყოფ რუს სამხედროებთან.**

ახლა უპრიანია, გავიხსენოთ, რა გავლენა იქონია ამ ომმა რუსეთის ხელმძღვანელობაში მყოფ ადამიანთა განწყობაზე, გეგმებზე, ბუნებრივ მდგომარეობაზე. ეს იყო დასავლეთის გამოცდა: დაუსჯელად ჩაივლის თუ არა ესოდენ აშკარა აგრესია. აგვისტოს მეორე ნახევარში, უკვე დაზავების, სარკოზის ქაღალდების შემდეგ, როდესაც ბრიუსელში წყდებოდა საკითხი, როგორი იქნებოდა მთლიანობაში ევროკავშირის რეაქცია რუსეთის ქცევაზე, პროკრემლისეულ გაზეთ „კომერსანტში“ გაჩნდა უმაღლესი ხელმძღვანელობის არდასახელებული წარმომადგენლის ციტატა: „თუ ყველაფერი ფუჭი საუბრებით შემოიფარგლება, თამაში ჩვენი წესებით გაგრძელდებაო“. და ეს არის ის ძირითადი ცვლილება, რომელიც მაშინ რუსეთის ხელმძღვანელობის მენტალობაში მოხდა: აღქმა იმისა, რომ დასავლეთი სუსტია და რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე რეაგირება არ ძალუძს. და მას შემდეგ ისინი სულ უფრო მეტად თავხედდებოდნენ და, პრინციპში, უკრაინის მიმართ აგრესია გარდაუვალი გახდა. იგი შეიძლებოდა, უფრო ადრე ან უფრო გვიან მომხდარიყო, მაგრამ ყველამ ვიცით კრემლის ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრინციპი — ბატონობა პოსტ საბჭოთა სივრცეში. და ამისათვის, უპირველესად, აუცილებელი იყო უკრაინის სრული დამონება.

ამ გაგებით, საქართველოსთან ომი „მეოთხე მსოფლიო ომის“ მიჯნა გახლდათ — ეს ჩემი მოსაზრება არ არის, ეს რუსულ პროპაგანდას უყვარს იმაზე საუბარი, რომ რუსეთი დასავლეთთან მეოთხე მსოფლიო ომს აწარმოებს, როგორც რევანშს მესამე — ცივი ომისათვის, რომელიც მან წააგო.

საქართველოსთან ომი იქცა იმადვე, რადაც მიუნჰენი — მეორე მსოფლიოსთვის, როდესაც დასალელმა დერჟავებმა ჰიტლერის აგრესიაზე თვალი დახუჭეს.

დღეს, როგორც იქნა, დასავლეთი აცნობიერებს იმ საფრთხის ზომას, რომელსაც მოსკოვი ცივილიზებული მსოფლიოსთვის წარმოადგენს. ამდენად, ყველაფერი, რაც დღეს უკრაინაში ხდება, შედეგობრივია. და უნდა ითქვას, ამჯერად დასავლეთის რეაქცია ოდნავ უფრო კონკრეტული იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, არასაკმარისი. თუმცა უკვე ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენს თვალწინ ხდება ძალზედ სერიოზული მოვლენა აშშ-ში: კრემლის თავხედობამ უკვე იქამდე მიაღწია, რომ მან საკუთარი კაცის დასმა მოინდომა თეთრ სახლში, რათა მასთან ე.წ. იალტის გარიგება გაეფორმებინა მსოფლიოს დაყოფის თაობაზე, მაგრამ ეს გეგმა მთელი ამერიკული სამხედრო-პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან ერთმნიშვნელოვან წინააღმდეგობას შეეჩეხა. უპრეცედენტოდ ერთსულოვანი კენჭისყრა რუსეთის მიმართ ახალი სანქციებისთვის და მთელი ამერიკული პოლიტიკური კლასის მიერ არსობრივად მოსკოვის აგენტების ტრამპისა და ტილერსონისთვის გაწეული წინააღმდეგობა, უპირველესად, იმას მოიტანს, რომ მათ პოლიტიკური სცენიდან ჩასვლა მოუწევთ და გარდა ამისა, დასავლეთი საბოლოოდ გააცნობიერებს საფრთხის ზომას, რომელსაც მოსკოვი ცივილიზებული სამყაროსთვის წარმოადგენს. ამჟამად დასავლეთი პირველად ახდენს მზაობის დემონსტრირებას, წინააღმდეგობა გაუწიოს ამ საფრთხეს. ეს საქართველოსთან ომის ძალზედ გაჭიანურებული გაკვეთილია.

**ისევე, როგორც ყირიმისა და ლუგანსკის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე წარმონაქმნები არსებობს მანამ, სანამ არსებობს პუტინის რეჟიმი რუსეთში და ეს არა მხოლოდ პუტინის პიროვნებას უკავშირდება — მისი იმპერიალისტური კომპლექსები დამახასიათებელია ძალიან ბევრისთვის რუსულ პოლიტიკურ კლასში, ოპოზიციის ცნობილი ლიდერების ჩათვლით. ამ სენის განკურნება მხოლოდ სერიოზულ მარცხს შეუძლია. ამერიკის კონგრესის ბოლო გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ აშშ ამჟამად მზადაა, რუსეთს ასეთი მარცხი მიაყენოს — რა თქმა უნდა, არასამხედრო საშუალებებით.**

პუტინის სიგნალები, თუ ამერიკული სანქციების შემოღების შემდეგ გამართული მისი პირველი პრესკონფერენციით ვიმსჯელებთ, შემრიგებლურია: ჩვენ მოლაპარაკება გვსურს და ა.შ. მოსკოვი აცნობიერებს: ეს სანქციები სასიკვდილო დარტყმაა — კანონგარეშედ, დამნაშევეებად ხომ რუსეთის მთელი ხელმძღვანელობა ცხადდება, ვინაიდან აქტივები აშშ-ში ყველა მათგანს გააჩნია.

## როგორ შეიძლება ყირიმში და აფხაზეთში ისე შესვლა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავედ არ შეგრაცხონ

***„ევროპაში რამდენიმე ტერიტორია არსებობს, სადაც იქაური კანონების დარღვევის გარეშე შესვლა ძალიან რთულია და ხშირად შეუძლებელიც... ამ ტერიტორიების უმრავლესობა პოლიტიკურად რუსეთთან არიან დაკავშირებულნი და შესაბამისად, იურიდიულ სირთულეებს ძირითადად უკრაინის, საქართველოს და მოლდოვას მოქალაქეები აწყდებიან“,*** *— აღნიშნულია სტატიაში.*

***პუბლიკაციაში საუბარია ყირიმზე და დონბასზე, მთიან ყარაბაღზე, დნესტრისპირეთზე და, რა თქმა უნდა, აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე:***

**„ეს ორი რეგიონი საქართველოს რუსეთის სამხედრო დახმარებით ჩამოშორდა. ორივენი ისეთ ტერიტორიებს მიეკუთვნება, სადაც მოგზაურობა საკმაოდ რთულია და უფრო მეტიც — შესაძლოა, დამნაშავედაც კი ჩაგთვალონ იმ ქვეყნის (საქართველოს) კანონმდებლობით, რომელსაც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი საერთაშორისო სამართლის თანახმად მიეკუთვნება.**

რუსეთთან ომის შემდეგ სამი თვე იყო გასული, როცა საქართველომ, 2008 წლის ოქტომბერში მიიღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომლის თანახმად, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთში შესვლა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან შეიძლება (ანუ თბილისის ნებართვით). თანაც სოხუმი და ცხინვალი ამ დროს პირიქით ითხოვენ — ჩვენს ტერიტორიაზე ვისაც უნდა შემოსვლა, ნებართვა ჩვენგან უნდა მიიღოსო. თავდაპირველად ქართული კანონის დამრღვევები 2-4-წლიანი პატიმრობით ისჯებოდნენ ან დიდ ფულად ჯარიმას იხდიდნენ, მოგვიანებით კი, 2013 წელს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ პატიმრობა გააუქმა და შეამცირა ჯარიმა იმ პირებისათვის (400 ლარამდე), ვინც აფხაზეთში შესვლის ცდუნების ანკესს პირველად წამოეგო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, სეპარატისტულ რეგიონებში უნებართვოდ შესვლის გამო 2006-2016 წლებში სულ 363 პიროვნება დასჯილა.

**აფხაზეთი, სადაც ბევრი რუსი ტურისტი მოგზაურობს, თავისთან უვიზოდ უშვებს რუსეთისა და დსთ-ის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. ისინი აფხაზეთში შედიან რუსეთთან არსებული საზღვრის გადაკვეთისას. სხვა ქვეყნების მოქალაქეებს კი ვიზა ჭირდებათ, რომლის აღება ელექტრონული ფოსტითაც შეიძლება — გააგზავნი შევსებულ ანკეტას და სხვა საჭირო დოკუმენტებს „აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში“ და ვიზაც მზად გექნებათ. მაგრამ აქვე შეგახსენებთ: აფხაზეთში შესვლის ასეთი წესი, საქართველოს კანონით, დანაშაულებრივად ითვლება“.**




როგორც ავტორი აღნიშნავს, ყირიმისა და დონბასის ცნობილი მოვლენების შემდეგ უკრაინამ თავის კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა და მათ, რომლებიც კიევის ნებართვის გარეშე ამ სეპარატისტული რეგიონების მონახულებას გადაწყვეტს, უნდა იცოდნენ, რომ დაისჯებიან.

რაც შეეხება მთიან ყარაბაღს: **„აზერბაიჯანის კანონებით, იქ შესვლა, ბაქოს ნებართვის გარეშე, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება (საპყრობილეში მოთავსებით). მთიანი ყარაბაღი ფაქტობრივად სომხეთის ნაწილად ითვლება, თუმცა ფორმალურად თავს ცალკე სახელმწიფოდ მიიჩნევს და უცხოელებისთვის იქ შესვლის საკუთარი წესები აქვს, რომელთა მიხედვით, გარდა აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ბალტიის რესპუბლიკების მოქალაქეებისა, მთიან ყარაბაღში შესასვლელად ვიზა არავის ჭირდება. ამასთან, ერევანში მოქმედ „მთიანი ყარაბაღის საელჩოში“ ვიზა შეიძლება ბიუროკრატიული დაბრკოლებების გარეშეც აიღოთ — ექვს დოლარს გადაიხდით და ვიზაც თქვენი იქნება“.**

დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა ყველაზე ლიბერალურია პოსტსაბჭოთა წარმონაქმნებს შორის, სასაზღვრო რეჟიმის თვალსაზრისით. თვითონ განსაჯეთ: მოლდავეთსა და დნესტრისპირეთს შორის მოსახლეობის გადაადგილება სრულიად თავისუფლად ხდება. (ისევე როგორც დნესტრისპირეთსა და უკრაინას შორის). პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისა და დასავლეთის სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის არანაირი ვიზა საჭირო არაა. ერთადერთი გამონაკლისი: ევროკავშირისა და აშშ-ის მოქალაქეებმა დნესტრისპირეთში შესვლისას ათი დღის ვადაში მილიციაში რეგისტრაცია უნდა გაიარონ.

პუბლიკაციის დასასრულს ავტორი ყურადღებას ამახვილებს გიბრალტარზე, რომელიც ასევე სადავო ტერიტორიად ითვლება (ესპანეთს და დიდ ბრიტანეთს შორის), თუმცა, ამის მიუხედავად, უცხოელს იქ შესასვლელად, პრინციპში, რაიმე მნიშვნელოვანი საფრთხე არ ემუქრება: ბრიტანელები და ამერიკელები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ. გიბრალტარი თვითონ აწესებს, რომელი ქვეყნის მოქალაქეს ჭირდება ვიზა და ამ მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების საიტზე შესაბამისი სიაა გამოქვეყნებული. ესპანეთისთვის სულ ერთია, ვინც გიბრალტარშია ნამყოფი ან შესასვლელად ემზადება: მათ არანაირი რეპრესიები და შეზღუდვები არ ემუქრებათ.

**იური ვენდიკი,**
„BBC“ **(დიდი ბრიტანეთი)**



### რუსეთი ბალტიის ზღვაში წვრთნებს ატარებს

**წვრთნებში 2 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, 12 ავიაგამანადგურებელი და 20-მდე სამხედრო გემია ჩართული. რუსული მხარის განცხადებით, სამხედრო სწავლებები ბალტიის რეგიონში ნატოს ძალების გააქტიურებას უკავშირდება.**

### ტრამპი პუტინს „მადლობას“ უხდის

**დონალდ ტრამპმა ვლადიმერ პუტინს რუსეთში ამერიკული დიპლომატიური მისიის თანამშრომლების შემცირებისთვის მადლობა გადაუხადა.**

